

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

ეკატერინე ბარამიძე

ანთროპონიმია სამყაროს ენობრივ სურათში და მისი დინამიკა

(ზემო აჭარის მაგალითზე)

სპეციალობა - ლინგვისტიკა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ანოტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი თემურ ავალიანი

ბათუმი - 2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თემურ ავალიანი

-
ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი,
გათანაბრებული ფილოლოგის დოქტორის
აკადემიურ ხარისხთან, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.

შემფასებლები:

შუშანა ფუტკარაძე

ბათუმის შოთა ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის
მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი
მარინე აროშიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

თალიკო ბერიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2021 წლის „ საათზე, ბათუმის

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინოშვილი ქუჩა,
N35, აუდიტორია N37.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ამავე უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე
(www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

მაია კიკვაძე

შესავალი

ანთროპონიმია, ისევე როგორც საერთოდ ონომასტიკა, ენის ლექსიკის ის პლასტია, რომლის ფორმირება და დინამიკა მიმდინარეობს სოციუმის (ერის, ეთნოსის, სუბეთნოსის, ეთნოლოგიური ჯგუფის) მთელი ისტორიის მანძილზე. შესაბამისად, ის ნათლად და მკაფიოდ ასახავს დროისა და ეპოქების კვალს, რითაც უაღრესად საინტერესო სურათს ქმნის მოცემული სოციუმის ეთნოკულტურული იდენტობის ჩამოყალიბება-შენარჩუნების ან პირიქით, დაკარგვის თვალსაზრისით. სწორედ ეს განაპირობებს ამ სფეროს კვლევების აქტუალობას ანთროპოცენტრული ლინგვისტიკის პარადიგმაში, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს სოციალური, პოლიტიკური, თუ სხვა სახის კატაკლიზმების ფონზე. ისინი რადიკალურად ცვლიან სოციუმის (ენობრივი და ეთნოკულტურული ერთობის) ცხოვრების ჩვეულ გარემოს, ტრადიციულად დამკვიდრებულ წესს და ღრმა კვალს ტოვებენ მის კოლექტიურ მეხსიერებაში. ყოველივე ეს უშუალოდ აისახება ენაში: იწყება სამყაროს ენობრივი, მათ შორის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაცია (ძვ. ლათ. *transformatio* — „გარდაქმნა“), რასაც თან ახლავს ეთნიკური (ეროვნული) იდენტობის წაშლის ან პირიქით, აღორძინება-გაძლიერების ტენდენციები.

ქართულ საბჭოთა ლინგვისტიკაში ამ მიმართულების კვლევები დიდად არ იყო წახალისებული, რის გამოც აღნიშნული სფერო დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. როგორც რ. თოფჩიშვილი წერს: „ქართული გვარ-სახელების წარმოქმნისა და განვითარების რთული და ხანგრძლივი გზის მონოგრაფიული შესწავლა მომავლის საქმეა, როდესაც სრულად იქნება გამოცემული ქართული საისტორიო საბუთების სრული კორპუსი და მხარეების მიხედვით იქნება გამოკვლეული გვარსახელთა ეთნოსტორიული და ეთნოსოციალური საკითხები“ (თოფჩიშვილი, 1997: 109). ის ხაზს უსვამს პრობლემის კომპლექსური კვლევის აუცილებლობას: „ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თავის საქმეს ლინგვისტიც აკეთებდა, ეთნოლოგიც და ისტორიკოსიც, მაგრამ ამ დარგების ცოდნის გაუთვალისწინებლობის გამო ზოგიერთმა მეცნიერმა დასანანი შეცდომები დაუშვა“ (თოფჩიშვილი, 2010: 5-6). ერთი სიტყვით, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მკვლევართა მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ „საზოგადოების ისტორიული განვითარების

პროცესში ენობრივი და სოციოკულტურული პროცესების მჭიდრო ურთიერთკავშირი განაპირობებს მათი კომპლექსური კვლევის აუცილებლობას და აქტუალობას, რაც ვერ განხორციელდება ენობრივი მოვლენების საზოგადოებაში ფუნქციონირების პირობებისა და მისი კულტურისაგან მოწყვეტით“ (აროშიძე, 2016: 142). შესაბამისად, ჩვენი ნაშრომი არის დარგთაშორისი და არა წმინდალინგვისტური, მასში ძირითადი ყურადღება გადატანილია პოლიტიკური, ენობრივი და რელიგიურ-კულტურული პარადიგმების არაერთგზის ცვლის პირობებში ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის სოციოკულტურულ ასპექტებსა და შედეგებზე საჭიროების შემთხვევაში, ცხადია, მივმართავთ ანთროპონიმიის ფონეტიკურ, სტრუქტურულ, მორფოლოგიურ თუ სხვა თავისებურებებს, ანთროპონიმული მოდელის სტრუქტურასა და მისი გადატანას ერთი ენიდან მეორეში და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზნად დავისახეთ კონკრეტული არეალის - ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დიაქტონული ანალიზი მისი დინამიკის იმ ძირითადი ტენდენციების გამოვლენის მიზნით, რასაც ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენით ჰქონდა ადგილი დროის კონკრეტულ მონაკვეთში - XVI საუკუნიდან დღემდე.

კვლევის ობიექტია ოსმალურიდან თარგმნილი და ქართული ისტორიული დოკუმენტების გარკვეულ ნაწილში, ნაშრომებში, საზოგადოებრივი მოღვაწეების ჩანაწერებში, მოსახლეობის აღწერებს, საარქივო მასალებს, ჩვენ მიერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის მონაცემებსა და სხვა სახის დოკუმენტებში დაფიქსირებული მთელი ამ პერიოდის ზემო აჭარის მცხოვრებთა გვარსახელები, შტოგვარები, პიროვნული სახელები და ანთროპონიმული მოდელები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ზემო აჭარის ანთროპონიმიის კვლევის მიმართულებით არაერთი ნაბიჯია გადადგმული, რასაც, ცხადია, ვითვალისწინებთ. ამავე დროს, აღნიშნული რეგიონის ანთროპონიმული სურათის სოციოკულტურული კონტექსტით განპირობებული დინამიკის მონოგრაფიული კვლევა დღემდე არ ჩატარებულა. წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს პრობლემის სწორედ ამ კუთხით წარმოჩენას, რაც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის თეორიულ ღირებულებასა და სიახლეს.

ნაშრომს პრაქტიკული ღირებულება აქვს მრავალი, უპირველეს ყოვლისა, ენის მონაცემთა დოკუმენტირების თვალსაზრისით. ზოგადად, ამ მიმართულებით ქართულ ლინგვისტიკაში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული: უკვე შექმნილია „აჭარის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ (მგელაძე, ნ., ტუნაძე, თ. ბათუმი. 2018) იქმნება საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი, ქართული დიალექტური კორპუსის ლექსიკონები, დიდი ქართული დიალექტური ბაზა და რაც ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია, „აჭარული დიალექტის კორპუსი“, რომელშიც კონკრეტულად აქაური არაოფიციალური, ფაქტობრივად დიალექტური ანთროპონიმია ჯერ კიდევ არ არის ჩართული. შესაბამისად, ჩვენ მიერ გაანალიზებული ისტორიული (ოფიციალური ხმარებიდან გასული) გვარსახელები და პიროვნული სახელები მათში მოცემული უაღრესად საინტერესო ლინგვოკულტუროლოგიური, დიალექტოლოგიური, ეთნო- და სოციოლინგვისტური ხასიათის ინფორმაციით პრაქტიკული ღირებულების მქონეა აჭარული დიალექტის კვლევის მიმართულებითაც.

ნაშრომში მოძიებული ემპირიული მასალა და მისი ანალიზის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა „ონომასიოლოგია“, „ქართველური ონომასტიკა“, „ქართული დიალექტოლოგია“, „სოციოლინგვისტიკა“ და სხვ. ეს მასალა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საგვარეულო ისტორიების მკვლევრებს და სხვა დაინტერესებულ პიროვნებებს.

კვლევის არეალად ზემო აჭარა შევარჩიეთ იმ მოტივით, რომ ის (და არა მხოლოდ ის) მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, უცხო გარემოში იყო მოქცეული. შესაბამისად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ენობრივი და კულტურულ-რელიგიური პარადიგმების არაერთგზის მკვეთრი ცვლილების პირობებში ამ რეგიონის ანთროპონიმიამ ასევე მრავალგზის განიცადა ტრანსფორმაცია. განხორციელდა ქართული და კალენდარული სახელების და ქართული გვარსახელების ჩანაცვლება ისლამური სახელებით და თურქული „ოდლებით“. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ კი იწყება შემობრუნების ეპოქა, რომელიც, სხვათა შორის, არც მთლად უპრობლემოდ და უმტკივნეულოდ წარიმართა.

თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ანთროპონიმული სურათის, ტრანსფორმაციაში ჩვენ ვგულისხმოთ როგორც გვარსახელთა, ისე პიროვნულ სახელთა სისტემების და მოდელების ცვლას, თუმცა ამ უკანასკნელში არ მოვიაზრებთ მაინცა და მაინც წმინდა ქართული წარმოშობის სახელების არსებობას და მათ ჩანაცვლებას ზოგადად აღმოსავლური სახელებით, რადგან მრავალი საუკუნის მანძილზე ქართული წარმოშობის სახელები ხმარებიდან თითქმის მთლიანად განდევნა სულ სხვა ექსტრალინგვისტურმა ფაქტორმა: ქრისტიანულმა რელიგიამ. ამის გამო ტერმინში „ტრანსფორმაცია“ ამ შემთხვევაში მოვიაზრებთ ჯერ ოსმალობამდელი (ძირითადად კალენდარული) ანთროპონიმული სისტემის ჩანაცვლებას მკვეთრად გამორჩეული დოგმატური ისლამური შეფერილობის მქონე სახელებისგან შედგენილი ერთფეროვანი სისტემით, შემდგომ ეტაპებზე კი პირიქით, ქართული და კალენდარული პიროვნული სახელების დაბრუნებას.

კვლევის ამოცანები. დასახული მიზნის მიღწევის გზაზე ჩვენს წინაშე წამოიჭრა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. XVI საუკუნის მიწურულის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის შეძლებისდაგვარად აღდგენა და ანალიზი, რის საშუალებასაც მეტნაკლებად იძლევა ზაზა შაშიკაძის და მირიან მახარაძის მიერ ოსმალურიდან ქართულად თარგმნილი „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ (შაშიკაძე, მახარაძე, 2011). პარალელების გასავლებად ვიშველიებთ ს. ჯიქიას მიერ ასევე ოსმალურიდან ქართულად თარგმნილ „გურჯისტანის ვიალეთის დიდ დავთარს“ (ჯიქია, 1958), „1728 წლის თბილისის ვილაეთის დიდ დავთარს“ სხვა მსგავს დოკუმენტებს.

2. XVI-XIX საუკუნეებისა და XX საუკუნის დასაწყისის აჭარაში ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი, რისთვისაც ვიყენებთ 1835 წლის ოსმალური აღწერის და 1922 წლის საბჭოთა აღწერის საარქივო მასალებს, დ. ბაქრაძის, თ. სახოკიას, ზ. ჭიჭინაძის, გ. ყაზბეგის და სხვა საზოგადო მოღვაწეთა თუ მოგზაურთა ჩანაწერებს და ნაშრომებს, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სტატიებს და ნაწარმოებებს და ა.შ. პარალელებს ვავლებთ აგრეთვე ე.წ. ოსმალოს ისტორიულ საქართველოს დღევანდელ ანთროპონიმულ სურათთან, რისთვისაც ვიშველიებთ მ. ფაღავას, მ.ცინცაძის, შ. ფუტკარაძის, მ. ქამადაძის, მ. ჩოხარაძის, ე. ბერიძის, ნ. ცეცხლაძის, თ. შიომვილის, ზ.

შაშიკაძის, მ. მახარაძის, თ. ფუტკარაძის, ნ. მგელაძის, ე. მაკარაძის, თ. ავალიანის და სხვათა ნაშრომებს, ისტორიულ საქართველოში ჩატარებული უამრავი სამეცნიერო ექსპედიციის მასალებს და ა.შ.

3. 1921-1991-იან წლების ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციების ანალიზი. აღნიშნული პერიოდის პირველი ნახევარი ქემალისტური თურქეთის და საბჭოთა იმპერიის მეგობრობის პერიოდია, როცა მათ შორის საზღვრები ჯერ კიდევ მკაცრად არ კონტროლდებოდა (1921-1940). შემდგომი წლები კი არის თურქეთისადმი სსრკ-ს მტრული პოლიტიკის ეტაპი, რომლის განმავლობაშიც თურქეთთან მოსაზღვრე ტერიტორიებზე ტარდება უმკაცრესი ანტიისლამისტური ზომები და ღონისძიებები. მათ შორის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი ისლამური სახელებისა და თურქული გვარების შეცვლის პროცესის მაქსიმალურად დაჩქარება.

4. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკის ტენდეციები 1991 წლიდან დღემდე. ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს, დემოკრატიზაციისა და თურქეთ-საქართველოს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების პერიოდი, რამაც მოიტანა რელიგიური აღმსარებლობის და ბავშვისთვის პიროვნული სახელის თავისუფალი არჩევანის პერიოდი.

5. კოლექტიური მეხსიერების როლი ზემო აჭარის დღევანდელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გვარსახელთა დინამიკის, ორსახელიანობის, ორგვარსახელიანობის და შტოგვარის (გვარის განშტოების) ფენომენის, როგორც ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაკვალევის წარმოჩენაში.

6. ოსმალობის დროინდელი ზემო აჭარის მოსახლეობის „-ოლი“ ფორმატიანი მუსლიმანურ გვარების რეესტრის, განშტოებების და მათი გეოგრაფიის, აგრეთვე თურქულ პიროვნულ სახელთა რეიტინგული ცხრილის შედგენა ჩვენ მიერ გაანალიზებული გამოკითხვის მასალის მიხედვით.

კვლევის მეთოდიკა. საკვლევი მასალა მოვიძიეთ არა მხოლოდ ლიტერატურის, პრესის, საარქივო და სხვა მასალების, არამედ მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების მონაცემთა ბაზაზე. ის დაკავშირებულია საველე გამოკითხვებთანაც. შესაბამისად, ვიყენებთ კვლევის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ანკვეტირება,

გამოვითხვა, მასალის რაოდენობრივი დამუშავება, კლასიფიცირება, სისტემაში მოყვანა და ა.შ. მოსახლეობა გამოვითხეთ წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე, რომელიც მოცემულია სადისერტაციო ნაშრომში. მოძიებული მასალა დავამუშავეთ და სისტემაში მოვიყვანეთ აღწერითი (დაკვირვება, განზოგადება, კლასიფიკაცია) შედარებითი და დიაქრონული კვლევის მეთოდების გამოყენებით, რამაც მოგვცა საშუალება აღნიშნული რეგიონის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ძირითადი ტენდენციები და განმაპირობებელი ფაქტორები წარმოგვეჩინა დინამიკაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ენობრივ-კულტურული პარადიგმების ცვლილებათა კვალდაკვალ.

ნაშრომის სტრუქტურა განპირობებულია დასახული მიზნებითა და ამოცანებით. ის შედგება შესავლის, პარაგრაფებად და ქვეპარაგრაფებად დაყოფილი ექვსი თავისაგან, დასკვნითი დებულებებისაგან, გამოყენებული ლიტერატურის სიისა (სულ 122 დასახელება) და დანართისგან.

ნაშრომის შინაარსი

თავი I. ანთროპონიმია, როგორც სოციოლინგვისტური კვლევის ობიექტი
1.2. ანთროპონიმის კვლევის ასპექტები თანამედროვე ლინგვისტიკაში

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა ანთროპონიმის ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან მიმართებაში კვლევის მოკლე ისტორიას. პირველ ქვეთავში მიმოხილულია ა. სუპერანსკაიას, ვ. ბონდოლეტოვის ა. რეფორმაციას, ს. ჯიქიას, მ. ჯიქიას, ს. ვესელოვსკის, ი. კიურშუნოვას, ლი ჩენჩენის, გ. ხაზიევა-დემირბაშის, ვ. ვაშაკიძის, ვ.ნიკონოვის და სხვა როგორც ადრინდელი, ისე თანამედროვე ლინგვისტების კვლევები, რომლებშიც ნათლადაა გამოკვეთილი არა მხოლოდ ანთროპონიმის, არამედ ზოგადად ონომასტიკური კვლევის სხვადასხვა მიმართულება: გლობალური, არეალური, და რეგიონული.

1.3. ანთროპონიმის კვლევის პრობლემატიკა ქართულ ლინგვისტიკაში

ქართული ანთროპონიმის კვლევის შესახებ ცნობილი ქართველი ლექსიკოლოგი ალ. ღლონტი არც თუ ისე დიდი ხნის წინ წერდა: „ქართველური ანთროპონიმია იმდენად სუსტადაა შესწავლილი, რომ ნაადრევია მის გენეზისსა და

სპეციფიკური, თვითმყოფადი ნიშნების ზუსტად გამოყოფაზე მსჯელობა“.¹ (ალ. ღლონტი 1988: გვ. 164). დღეისათვის ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ალ. ღლონტის, შ. ძიძიგურის, ი. მაისურაძის, რ. თოფჩიშვილის, ი. ახუაშვილის, გ. ხორნაულის, დ. კირთაძის, ე. ბერიძის და სხვათა მიერ. განსაკუთრებით ხაზგასასმელია საზღვრისგაღმელი ჩვენებურების, აგრეთვე საქართველოს ცალკეული კუთხეების ანთროპონიმული და საერთოდ ონომასტიკური პრობლემატიკის კვლევები, როგორიცაა ვ. ნიკონოვის, შ. ფუტკარაძის, მ. ქამადაძის, გ. ფალავას, მ. ცინცაძის, ნუგზარ ცეცხლაძის, ნანა ცეცხლაძის, რ. სურმანიძის, ი. ბექირიშვილის, ბ. გოგოხიას, რ. ხალვაშის ც. ნარაკიძის, ფევზი ჩელების და სხვათა ნაშრომები.

1.4. ანთროპონიმიის დინამიკა და კოლექტიური მეხსიერება

ვიკლეპთ რა კონკრეტული რეგიონის ანთროპონიმული სურათის დინამიკას, ცხადია გვერდს არ ვუვლით კულტურული და კოლექტიური მეხსიერების როლს ამ პროცესში. შესაბამისად, ჩვენ ვაანალიზებთ ზემო აჭარის მოსახლეობის ჩვენ მიერ გამოკითხული ნაწილის გამოკითხვის მასალებს მათი წინაპრების ანთროპონიმიის, უპირველეს ყოვლისა, გვარების შესახებ მათ კოლექტიურ მეხსიერებაში შემორჩენილი ინფორმაციის ანალიზის მიზნით. ამასთანავე, ჩვენ ვაანალიზებთ მ. აროშიძის, ხ. ბოლქვაძის, თ. ფუტკარაძის, ნ. აროშიძის, ე. კვაჭანტირაძის, ნ. ტოხვაძის, მ. დალაქიშვილის და სხვების ნაშრომებს, კოლექტიური მეხსიერების კონცეფციის ფუძემდებლების მ. ჰაბლვაქსის, ე. ნოსენკო-შტეინის, პიერ ნორას და სხვათა მოსაზრებებს.

2. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკა მე-16 საუკუნის მეორე

ნახევრიდან 1878 წლამდე პერიოდში

2.2. ოსმალობამდელი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი მე-16 საუკუნის მიწურულს „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების“ მიხედვით

მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის აღსადგენად ნაშრომში უცვლელად გადმოგვაქვს „დავთრებში“ დაფიქსირებული

დაახლოებით 3000 მცხოვრების 750 პიროვნული სახელის სია¹: ესენია: სოფელ შუბნიდან: გოგიჩა, ძე აბარნუდისა; ელისე, ძმა მისი და სხვა; სოფელ ჭიდან: ნოვრუზი, ძე დანიელისა; იოსებ, ძე მისი, და სხვ. სოფელ სხალთიდან: ვასილ მღვდელი, ძე ზანქურისა; აბრამ, ძმა მისი; სოფელ წაბლვანიდან: ზაქარა, ძე გიორგისა; არნა, ძე მისი და სხვა. სოფელ დანისპარაულიდან - ბასილი, ძე დანიელისა; მახარებელ, ძე მისი; იოანე მღვდელი და სხვა. სოფელ ხულადან: გოგიჩა, ძე გიორგისა; ალდგომელა, ძე მისი; სოფელ ღორჯომიდან - იოანე, ძე გიორგისა; გოჩა, ძე მისი; სოფელ ნიგაზეულიდან - გაბრიელ, ძე მელიქისა; გიორგი, ძმა მისი და სხვა. სოფელ მერისიდან: კვირიკე, ძე საგინასი; ხახუტა, ძე მისი; სოფელ დანდალოდან: გაბრიელ, ძე იოსებისა; ჯაბანუსა, ძმა მისი და ა.შ.

2.3. ოსმალომდელი ზემო აჭარის პიროვნულ სახელთა კორპუსი მე-16 საუკუნის მიწურულის „დავთრების“ მიხედვით

ჩვენ დავინტერესდით „დავთრებში“ პიროვნულ სახელთა გამოყენების სიხშირის (რეიტინგის) მონაცემით. შესაბამისად პიროვნულ სახელთა ჩამონათვალში ყველაზე რეიტინგულ სახელთა პირველი ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ.	%	№	სახელი	რაოდ.	%
1	გიორგი	43 ²	5.7	6	ბასილი	22	2.9
2	გოგიჩა	40	5.3	7	იოანე	17	2.3
3	იოსებ	35	4.7	8	ღევან(ი)	16	2.1
4	მახარებელ	29	3.7	9	აბრამ	11	1.4
5	გაბრიელ	27	3.6	10	ზაქარა	10	1.3

პიროვნულ სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა კალენდარული ან ქართულია. მუსლიმანური სახელები „დავთრებში“ პრაქტიკულად არ ფიქსირდება.

2.4. გვარსახელები თუ მამის სახელები? ანუ „დავთრების“ ანთროპონიმული მოდელის შესახებ

¹ ამ ჩამონათვალში პიროვნულ სახელთა რიცხვს მივაკუთვნეთ მამის სახელებიც, რომლებთან ერთობლიობაში მათი (პიროვნულ სახელთა) რაოდენობა აღწევს 750-ს.

² სახელის გვერდით მიწერილი რიცხვი აღნიშნავს ამ სახელის მატარებელთა რაოდენობას

ოსმალური „დავთრები“ არის მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის ზემო აჭარაში არსებული ქართული ანთროპონიმული მოდელების თარგმანი, „ამ დავთრების“ ჩვენს მიერ გაანალიზებული ქართულ თარგმანში კი მოცემულია ოსმალურიდან გადმოქართულებული მოდელები, რომლებიც ორწევრიანია, ოღონდ შემდეგი სახის: **ბასილი, ძე მახარებლისა; იოანე, ძე გიორგისა** (და არა - **ბასილი მახარებლისძე, იოანე გიორგისძე**, ან - **მახარებლისძე ბასილი, გიორგისძე იოანე** და ა.შ, როგორც ეს ქართულ წყაროებშია მოცემული). გვხვდება ასეთი მოდელებიც: **ბასილი, ძმა გიორგისა; იოანე, ძე მიხი**“ და ა.შ. აბსოლუტურად იდენტური მოდელებია მოცემული ოსმალურიდან თარგმნილ სხვა „დავთრებშიც“. არის თუ არა დაფიქსირებული ამ მოდელებში გვარსახელები? ამ თვალსაზრისით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს „1728 წლის თბილისის ვილაეთის დიდ დავთარში“ მოცემული ანთროპონიმის შესახებ ე. მამისთვალიშვილი: „საყურადღებოა, რომ ამ ოსმალურ წყაროში, განსხვავებით იმავე პერიოდის ქართული წერილობითი ძეგლებისაგან, აღმოსავლეთის ხალხების ჩვეულების მიხედვით, სიებში მამაკაცები დასახელებულნი არიან მხოლოდ საკუთარი სახელებითა და მამის სახელებით. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ შესაბამისი პერიოდის ქართული დოკუმენტების აღწერის დავთრების მონაცემებთან შედარების შედეგად შესაძლებელი იქნებოდა მრავალი მათგანის იდენტიფიცირება“ (მამისთვალიშვილი, 2013: 32-36). ანალოგიურ დასკვნამდე მიდის მესხეთის ანთროპონიმული სურათის მკვლევარი კლარა ბარათაშვილიც: „რამდენადაც თურქებს არ გააჩნდათ გვარის ინსტიტუტი, ისინი ვინაობას აფიქსირებდნენ საკუთარი ან მამის სახელის მიხედვით: მემედ ჰასანოღლი, ოსმან რაჯაბოღლი და სხვა“ (ბარათაშვილი, 1997: 11). ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებებს, მითუმეტეს, რომ აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა ქართულ დოკუმენტებში. პარალელის გასავლებად ვაანალიზებთ „ტბეთის სულთა მატიანის“ (შემდგომში - „მატიანე“) და სხვა ქართული წყაროების ანთროპონიმიას.

2.5. „ტბეთის სულთა მატიანის“ და ზოგიერთი სხვა ქართული წყაროს ანთროპონიმია და პარალელი „დავთრების“ დროინდელი ზემო აჭარის ანთროპონიმიასთან

როგორც ცნობილია, ტბეთის საყდარი შავშეთში მდებარეობს, თუმცა ამ ძეგლში აჭარიდან ხუთი სოფლის შემომწირველებიც არიან დაფიქსირებული, რომელთაგანაც სამი ქედაში ანუ ჩვენ საკვლევ არეალში მდებარეობს (ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ზედვაკე). „დავთრებისგან“ განსხვავებით აქ გვარსახელების არსებობა ეჭვს არ იწვევს, კერძოდ, მასში დაფიქსირებულია 348 გვარსახელი. „ყველაზე ჭარბად გვხვდება -ძე-ზე დაბოლოებული გვარები, შემდეგ მოდის -ეთ-ზე და -შვილ-ზე დაბოლოებული. იშვიათობას შეადგენს -ურ, -ელ, -ულ, -ფხე, -ნა, -ია, -ტი, -ში, -აყი, -ისა, -ტყი სუფიქსებით დაბოლოებული გვარსახელები. სულ 20-მდე სუფიქსით ნაწარმოები გვარები გვხვდება“. ესენია: აბესლამეთ, გიორგაეთ, აბესალამისძე, ახალასძე, ბალასძე, დავითაძე, დავითისძე, ბასილისძე, ბედინასძე, ბერასძე, ბაზანდრისშვილი, კოკოპინაშვილი, მალევასშვილი, ნიკოლაფხეშვილი, ჯოთური, შავჩიტყი და სხვა (ვახიძე, 2013: 31-32). განსაკუთრებით ხაზგასასმელია „მატიანეში“ მოცემული ანთროპონიმული მოდელები, რომლებიც ორწევრიანია, ოღონდ განსხვავებით „დავთრებისა“, ეს არის გვარი + სახელი ტიპის მოდელები, როგორიცაა: ვერძასძე მახარებელ, ზარქიეთ გელა, მახაჭასძე მჭედელი, მეძვაფხე ხათუთა, მურვანიშვილი მომესწარა, ქოქალაური მარიამი, ქუაბელური ნათელი, ნიკოლაფხეშვილი გოგა, შავჩიტყი გიორგი, ჯოთური ნათელი და სხვა. (ენუქიძე, 1977: 66; შალიკაძე, 2015: 56-58)“. ანალოგიური სურათია როგორც „დავთრების“ დროინდელ (ასევე მანამდელ და შემდგომ) ქართულ (და არა თარგმნილ) დოკუმენტებში. მე-12 საუკუნე - „მახითარაისძენი დავითის შვილნი: ოქროი და მახარა, ბრაჭი და იოანე“ და სხვა (გვარი+მამის სახელი+სახელი); მე-13 საუკუნე - „მატიანე სუანეთისა კრებისა“ - გვინდა აფაქიანი, გიორგი ჩიქოვანი, ბოცო ქურდიანი და სხვა (სახელი+გვარი), მე-14 საუკუნე - „ქუენიფნეველი, ლარგველისა შვილი, წილოსან“ - სახელი + მამის სახელი + გვარი“; და სხვა. ასეა „პირთა ანოტირებულ ლექსიკონშიც“: ჯუმუანი ბეშქებ (მე-15 ს. დასაწყ.), ყარასშვილი ომარ (1505); ჯომარდიძე შალვა (1539). ჯიხვაძე მამისთვალა (1578), ყანჩელი ოთარ (1619), და სხვა.

სავარაუდოდ, ამგვარი უნდა ყოფილიყო „აჭარის ლივის დავთრებში“ მოცემული ზემო აჭარის მცხოვრებთა აღწერამდელი ქართული ანთროპონიმული მოდელებიც (ანუ: მახარებლისძე ბასილი და არა - ბასილი, მე მახარებლისა; გიორგისძე იოანე, და არა - იოანე, მე გიორგისა ა.შ).

ოსმალური პერიოდის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი ისმალეთის სულთან-მაჰმუდ II-ის მიერ 1835 წელს ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით

ოსმალეთის პერიოდის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის პირველი ეტაპის ტენდენციების შესახებ ნათელ სურათს იძლევა ისმალო მოხელეების მიერ 1835 წელს ჩატარებულ აჭარის მოსახლეობის აღწერის მასალები.

2.5.1. სოფელ დანდალოს ანთროპონიმული პორტრეტი 1835 წლის ისმალური აღწერის მიხედვით

სოფელ დანდალოსა და მასში შემავალ სოფლებში მთლიანობაში დაფიქსირებულია 504 მამაკაცის 70 პიროვნულ სახელი. ისინი მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია. პირველი ათეულში შემავალ სახელთა რაოდენობრივი და პროცენტული მონაცემები ასეთია:³

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მეჰმედ	80	6	ჰასან	36
2	ალი	59	7	ჰუსეინ	31
3	აჰმედ	38	8	ისმაილ	17
4	სულეიმან	37	9	ჯოშუან, ჯივან, ჰუსეინ, ჰალიმ	7
5	ოსმან	37	10	შირინ, არიფ, ყარამან, მემიშ	6

სახელთა ერთიან ჩამონათვალში ვხვდებით ორმაგ სახელებსაც, რომელთაგანაც ნაწილი არის ორი სახელისგან შედგენილი (გულ-აჰმედი, შირინ-მეჰმედი), ნაწილი კი სახელზე პროფესიის, საზოგადოებრივი სტატუსის, მდგომარეობის და ა.შ აღმნიშვნელი სახელის დამატებით მიღებული (ოსმან ეფენდი, იეთიმ სელიმი).

რაც შეეხება გვარსახელებს, ისინი აქ საერთოდ არ გხვდება (არც ქართული, არც „ოღლი“ ფორმატიანი, რაც გაუგებარია, რადგან სხვა სოფლებში გვარები დაფიქსირებულია).

2.5.2. სოფელ ბზუბზუს ანთროპონიმული სურათი 1835 წლის ისმალური აღწერის მონაცემების მიხედვით

³ როგორც აქ, ისე სხვა სოფლებიდან ნაშრომში დაფიქსირებული გვაქვს ყველა დანარჩენ რეიტინგულ ჯგუფში შემავალი სახელებიც

ა) გვარსახელები

სოფელ დანდალოსგან განსხვავებით სოფელ ბზუბზუში გვხვდება სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელები: სახელი + გვარი + მამის სახელი, მაშასადამე, აქ ჩნდება გვარსახელებიც, კერძოდ, დაფიქსირებულია 27 გვარსახელი, რომელთა შორისაც ოთხი (ანუ 14,8%) ქართულია: ახისხელი, ბაზანდარიძე, ბაზანზირიძე (ალბათ, ბაზანდრიძე), ბაჟანდიდიძე (ალბათ, ბეჟანიძე). დანარჩენი „-ოღლი“ ფორმანტიანი თურქული გვარსახელებია. გვხვდება სრულფასოვან ქართულ გვარზე „-ოღლი“ ელემენტის დამატებით ჩაწერილი გვარიც - **როდუნიძე-ოღლი.**

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება სოფელ ბზუბზუში მცხოვრებ მამაკაცთა პიროვნულ სახელებს, ისინი წარმოდგენილია 170 მამაკაცის 57 სახელით. ისინი მთლიანად არაქართული და არაქრისტიანულია, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აქაც თურქული, არაბული ან სპარსული წარმოშობისაა. ყველაზე რეიტინგულ სახელთა პირველი ათეულის რაოდენობრივი მონაცემები ასეთია:

№	სახელი	რა რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მეჰმედ	37	6	სულეიმან	18
2	აჰმედ	30	7	ჰუსეინ	16
3	ჰასან	23	8	იუსუფი	14
4	ალი	20	9	ისმაილ	12
5	ოსმან	19	10	ნუმანი	10

2.5.3. სოფელ ვაიოს ანთროპონიმული პორტრეტი 1835 წლის ოსმალური

აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

დანდალოსგან განსხვავებით და ბზუბზუს მსგავსად, აქაც ფიქსირდება სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელები: სახელი + გვარი + მამის სახელი. კერძოდ ამ აღწერის მიხედვით სოფელ ვაიოში დაფიქსირებულია 163 მამაკაცის 26 გვარსახელი, რომელთა შორისაც 6 (ანუ 23%) ქართულია: მახაჩქაძე (სავარაუდოდ, დღევანდული მახაჭაძე); სონოგაძე (?); ტეტემაძე; ჩივაძე (?) (სავარაუდოდ დღევანდული ჩივაძე);

ჭურკვეიძე. მათ გარდა იმჟამინდელ სოფელ ვაიოში სახლობენ „ოღლი“ ფორმატიანი 20 გვარსახელის მატარებელნი.

ბ) პიროვნული სახელები

აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით სოფელ ვაიოში დაფიქსირებულია **163** მამაკაცის **45** პიროვნულ სახელი, რომლებიც მთლიანად არაქართული და არაქრისტიანულია. ყველაზე რეიტინგული სახელების პირველი ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
7	მეჰმედ	21	6	იუსუფ	7
5	ოსმან	20	7	ქამილ	5
4	სულეიმან	15	8	ჰუსეინ	4
3	აჰმედ	13	9	სელიმ	3
3	ალი	9	10	იბრაჰიმ	2

2.5.4. სოფელ მარადიდის ანთროპონიმული სურათი 1835 წლის ოსმალური აღწერის მონაცემების მიხედვით

ა) გვარსახელები

ბზუბზუს და ვაიოს მსგავსად, მარადიდის ანთროპონიმული სურათიც სამწევრიანია: სახელი + გვარი + მამის სახელი. **სულ დაფიქსირებულია 226 მამაკაცის 43 გვარსახელი**, რომელთა შორისაც ქართულია. მხოლოდ 3 (6,9%). ესენია: დელიკიძე, მახარელი, მუთუველი. დანარჩენი 40 გვარსახელი ნაწარმოებია „ოღლი“ ფორმანტის დამატებით.

ბ) პიროვნული სახელები

პიროვნულ სახელთა საერთო რაოდენობა შეადგენს **226 მამაკაცის 60 პიროვნულ სახელს**, რომლებიც აქაც მთლიანად არაქართული, არაკალენდარულია. ყველაზე რეიტინგული სახელების პირველი ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	%	№	სახელი	რაოდ.
1	ოსმან	28		6	სულეიმან	9
2	აჰმედ	27		7	ჰუსეინ	8
3	ჰასან	22		8	ალი	8
4	მეჰმედ	11		9	ომერ	8

5	დურსუნ	9		10	მურად	7
---	--------	---	--	----	-------	---

3. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1921 წლამდე პერიოდში

ეს ეტაპი იწყება აჭარის განთავისუფლების შემდეგ, რამაც ლოგიკურად მისცა ბიძგი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ახალ პროცესს.

3.2. 1897 წელს თედო სახოკიას მიერ ქვემო აჭარაში აღნუსხული გვარები:

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებიდან სულ რაღაც ოცი წლის შემდეგ ზემო აჭარის მცხოვრებთა გვარსახელების შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა თედო სახოკია. მას ზემო და ქვემო აჭარის მკვიდრთა გვარსახელები არ აქვს გამიჯნული, თუმცა დასძენს, არა გვგონია, აქ ჩამოთვლილი გვარების გარდა ზემო აჭარაში ოცზე მეტი იყოს განსხვავებულიო. მას მოცემული აქვს მთლიანობაში 146 გვარსახელი, რომელთაგანაც 141 (96,5%) ქართულია აბაშიძე, აბულაძე, ავალიანი, ანანიძე, ასამბაძე, ბალაძე, ბარამიძე, ბასილაძე, ბედინაძე, ბეჟანიძე, ბერიძე, ბოლქვაძე და სხვა. ჩნდება კითხვა: რამ შეცვალა ასე რადიკალურად აჭარის ანთროპონიმული (კერძოდ, გვარსახელთა) სურათი სულ რაღაც 30 წლის შემდეგ? ცხადია, ეს არ მომხდარა მეფის რუსეთის მცდელობის შედეგად. აშკარაა, რომ აჭარის მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში მყარად იყო შემონახული საუკუნეების მანძილზე ფაქტობრივად აკრძალული მშობლიური გვარსახელები, რომლებიც შესაძლებლობისთანავე ამოტივტივდა ზედაპირზე.

3.3. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი ზ. ჭიჭინაძის მონაცემების მიხედვით

ამავე პერიოდის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის მაგალითებს უხვად ვხვდებით ზ. ჭიჭინაძესთანაც. ის წერს: „აჭარის მცხოვრებთა გვარები უფრო ძეებით თავდება და ზეგნისა კი - შვილებით. თვით ძველთ აზნაურთა და თავადთა გვარებიც - კი ასე განირჩევა აჭარაში (ჭიჭინაძე, 1913: 66). ის აფიქსირებს 61 გვარსახელს, რომელთაგან 54 ანუ 88,5% ქართულია. მაშასადამე, თურქულენოვანი ანთროპონიმული სურათის ქართულენოვანით შეცვლისკენ ტენდენცია აშკარაა.

3.4. ზემო აჭარის ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის მეორე ეტაპის დასკვნითი დოკუმენტია 1922 წელს აჭარის ე.წ. გასაბჭოებისთანავე ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალები, რომლებშიც ასახულია 1878 – 1921 წლებში განვითარებული ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის სპონტანური პროცესების საბოლოო შედეგები.

3.4.1. ქედა. დღევანდელი დანდალოს თემის სოფლების ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

დანდალოს თემის სოფლებიდან 1922 წლის აღწერის მასალებში აღრიცხულია მასში შემავალ სოფლებში მცხოვრები 160 მამაკაცის (კომლის უფროსის) 74 გვარსახელი და 80 პიროვნული სახელი. მათგან ქართულია 7 (9.4%): ავალიანი, მანველიძე, ცინცაძე, ჭიყალიძე, ბერიძე, მგელაძე, ტარიელაძე, დანარჩენი 67 კი თურქული: ალიშანოღლი, არძენოღლი, ბაიაზოღლი, კალაიჯოღლი, ჩხუბოღლი, და სხვა. ქართული გვარები ნაწარმოებია: 1) „-იან“ ფორმანტით - ავალიანი, 2) „-ძე“ ფორმანტით - ბერიძე, მანველიძე, მგელაძე, ცინცაძე, ტარიელაძე, ჭიყალიძე. „-შვილი“ ფორმანტით ნაწარმოები ქართული გვარსახელები აღნიშნულ მასალებში არ გხვდება.

ბ) პიროვნული სახელები

დანდალოს თემის სოფლებში აღრიცხულია 160 მამაკაცის 80 პიროვნული სახელი, რომელთა 100% ისევ და ისევ მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია.

ე.წ. რეიტინგული სახელების პირველი ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მევლუდ	12	6	ახმედ, ზექერია, მერჯან, ხუსეინ	5
2	დურსუნ,	11	7	ეუბ, მემედ, მუხამედ, ხასან	4
3	სულეიმან	10	8	აბდულ, ალი, ისკენდერ, იუნუს	3
4	ოსმან	9	9	ასლან, დემურალი, ზაბით, თევფიყ	2

5	ისმაილ	7	10	და სხვა	
---	--------	---	----	---------	--

3.4.2. ქედა. დღევანდელი ცხმორისის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

დღევანდელი ცხმორისის თემის ოთხ სოფელში აღიცხულია იმ დროს იქ მცხოვრები 240 მამაკაცის 85 გვარსახელი, რომელთაგან ქართულია 26 (ანუ 30,5%): აბაშიძე, ანანიძე, ბალაძე, ბერიძე, ბოლქვაძე, გეგელიძე და სხვა. ქართული გვარების აბსოლუტური უმრავლესობა (26-დან 23) ნაწარმოებია ფორმანტით „-ძე“, არის აგრეთვე „-შვილი“ ფორმანტით ნაწარმოები ერთადერთი გვარსახელი აღიაღაშვილი“.

59 გვარსახელი (ანუ 69,5%) „-ოღლი“ ფორმანტიანი თურქული გვარსახელებია აბუქეთელოდლი, ომეროდლი, სულიოდლი, ქაზიმოდლი, ქოთხოროდლი და სხვა.

ბ) პიროვნული სახელები

მამაკაცთა პიროვნული სახელების საერთო რაოდენობა შეადგენს 240 მამაკაცის 78 პიროვნულ სახელს, რომელთა 100% მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია. ე.წ. რეიტინგული სახელების ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მევლუდ, ოსმან	18	6	ომერ, ყედირ	7
2	ხუსეინ	16	7	ხასან,	6
3	დურსუნ, მერჯან, აბდულ	10	8	შაქირ	5
4	ახმედ	9	9	შაყბან, სულა	4
5	ისმა(ღ)ილ	8	10	შერიფ, ხულუს	3

3.4.3. ქედა. დღევანდელი წონიარისის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

სოფელ წონიარისის და მასში შემავალი სოფლების 1922 წლის აღწერის მასალებში აღრიცხულია 153 მამაკაცის 72 გვარსახელი და 71 პიროვნული სახელი. მათ შორის ქართულია მხოლოდ 5 (5.6%): ბარამიძე, ბერიძე, გეგიძე, ჩულუკიძე და პაპუნიძე,

ყველა მათგანი ნაწარმოებია „-ძე“ ფორმანტით. „-შვილი“ ფორმანტით ნაწარმოები გვარსახელი წონიარისში საერთოდ არ გხვდება.

დანარჩენი 50 გვარსახელი (94,4%) არის თურქული: აღიბაირახტაროლლი, აღიჯანოლლი, დელიმიმიშოლლი თოფჩიოლლი, იუზბაშოლლი და სხვა;

ბ) პიროვნული სახელები

აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით წონიარისის სოფლებში დაფიქსირებულია 153 მამაკაცის 71 პიროვნული სახელი, რომელთა 100% მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია. ე.წ. რეიტინგული სახელების ხუთეული ასეთია:

	სახელი	რაოდ	No	სახელი	რაოდ.
1	ხუსეინ	10	6	ბაშალა, დაუთ, თალიბ, ისმაილ, მემედალი, მერჯან, ყადირ, შაქირ	3
2	სულეიმან	9			
3	დურსუნ, ხასან	7	7	დემურალი, ეუბ, ზექერია, თურან და სხვა	2
4	ოსმან	6			
5	აბდულ, ახმედ, მევლუდ, მემედ	4			

3.4.4. ქედა. დღევანდელი მერისის თემში შემავალი სოფლების ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

მერისის თემში შემავალ სოფლებში დაფიქსირებულია 281 მკვიდრის 85 გვარსახელი, რომელთაგან: 58 ანუ 68% თურქულია, 22 გვარსახელი ანუ 26% კი - ქართული, ესენია: ბერიძე, ბროლაძე გოგოლიშვილი, დევაძე, დიასამიძე, დოლიძე, დუმბაძე, და სხვა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა -19 ანუ 86% - ნაწარმოებია -ძე ფორმანტით.

გვხვდება ორმაგი გვარსახელებიც: დიასამიძე-ყედიროლლი, დევაძე-მერჯანოლლი, ჯაბნიძოლლი-ცარიელოლლი, ფოთელოლლი-ჩაქველოლლი.

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, დაფიქსირებულია 281 პიროვნების 98 სახელი. რეიტინგული პიროვნული სახელების პირველი ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	ხასან	19	6	ახმედ	14
2	სულეიმან	18	7	ალიჯან	11
3	აბდულ	17	8	იუსუფ	10
4	ოსმან	16	9	ხუსეინ	8
5	დურსუნ	15	10	შაქირ	7

3.4.5. ქედა. მახუნცეთის თემის ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

მახუნცეთის თემის დღეს არსებულ საზღვრებში იმ დროს შემავალ რვა სოფელში დაფიქსირებულია **298** პიროვნების **52** გვარსახელი, რომელთაგან ქართულია - 38 ანუ 73%: აბესლამიძე, აზნაურიძე, ვარდმანიძე, ვარშანიძე, ვერძაძე, კურცხალიძე და სხვა. მათგან ყველა -ძე სუფიქსით არის ნაწარმოები. დანარჩენი კი თურქულია.

ბ) პიროვნული სახელები

მახუნცეთში დაფიქსირებულია **88** პიროვნული სახელი, რომლებიც მთლიანად არაქართული და არაკალენდარულია.

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მემედ	27	6	სულეიმან	12
2	იუსუფ	20	7	ხუსეინ	11
3	ხასან	19	8	ალი	9
4	ახმედ	17	9	ისმაილ	7
5	ოსმან	16	10	მევლუდ	5

3.4.6. ქედა, დოლოგნის თემის ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

დოლოგნის თემის დღეს არსებულ საზღვრებში შემავალ ოთხ სოფელში აღრიცხულია **126** პიროვნების **35** გვარსახელი, რომელთაგან ქართულია 11 (ანუ 31,5%): იოსებიძე, ბედინაძე, დავითაძე, თებიძე, მიქელაძე, საფარიძე ოსანაძე. ყველა

მათგანი - „-ძე“ სუფიქსით არის ნაწარმოები. დანარჩენი 24 გვარსახელი თურქულია: აბდულოღლი, ალიოღლი, ბექიროღლი, ველიოღლი, ლაზოღლი და სხვა.

ბ. პიროვნული სახელები

მახუნცეთში დაფიქსირებულია **47** პიროვნული სახელი, რომელთა პირველი რეიტინგული ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	ოსმან	12	6	დურსაუნ	5
2	ხუსეინ	11	7	მუსტაფა	4
3	მემედ	10	8	სალიხ	4
4	ახმედ	8	9	ალი, ასლან, მევლუდ და სხვა	3
5	სულეიმან	7	10	აბდულ, იბრაგიმ და სხვა	2

პიროვნულ სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმანურია. გამონაკლისია: **თეოფილე (ბედინაძე)** და **ნაირა (ჩიტაძე)**.

3.4.7. ხულოს მაზრის დიდაჭარის თემის ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის

საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

დიდაჭარის თემში აღრიცხულია 28 სოფელი, რომლებშიც დაფიქსირებულია ამ სოფლების მცხოვრები **949** მამაკაცის **96** გვარსახელი, რომელთაგან 80 (ანუ 83,3%) ქართულია. ესენია აბულაძე, ართმელაძე, აბაშიძე, ხუტაშვილი, ხიმშიაშვილი, ხალვაში და სხვა. აღნიშნული 80 ქართული გვარსახელიდან მხოლოდ შვიდია ნაწარმოები -შვილი ფორმანტით ნაწარმოები, 73 კი არის „-ძე“ ფორმატიანი გვარები. 11 გვარსახელი თურქულია და ნაწარმოებია „-ოღლი“ ფორმანტის დამატებით. არის ერთი ორმაგი გვარი (მურადოღლი-გელაძე), აგრეთვე 2 ბერმნული და 3 რუსული ფორმანტებით ნაწარმოები გვარები: პაპამდობულო (ილია), ფოკაიდი (ილია), ასევე რუსული ფორმანტით ევ/ოვ ნაწარმოები: მუსიევი (დავით), ეფრიკოვი (დანელი), ხუმასოვი (ტერპოვისი).

ბ) პიროვნული სახელები

საერთო რაოდენობა შეადგენს 949 მამაკაცის დაახლოებით 250 პიროვნულ სახელს, რომელთა თითქმის 100% არაქართული და არაკალენდარულია. ყველაზე რეიტინგულ სახელთა პირველი ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	ხასან	42	6	მუხამედ	26
2	ისმაილ	39	7	ეუბ	25
3	ეზიზ	37	8	ახმედ	24
4	სულეიმან	30	9	ოსმან	18
5	მევლუდ	28	10	ხუსეინ	17

3.4.8. ხულო. სხალთის თემის ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა

აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

დღევანდელ სხალთის თემში 1922 წლის აღწერის მასალების მიხედვით აღრიცხულია 33 სოფლის მცხოვრები 1243 მამაკაცის (კომლის უფროსის) 104 გვარსახელი და 264 პიროვნული სახელი. გვარსახელთა 92,3% (96) კი ქართულია: აბაშიძე, აბულაძე, ასლანიძე, ბათნიძე ზოიძე, თავდგირიძე, თურაძე, თურმანიძე, თხილაძე, ირემაძე, და სხვა. მათგან „-ძე“ ფორმანტიანია 88 გვარსახელი, ხოლო „-შვილი“ ფორმანტიანი მხოლოდ შვიდი.

ბ) პიროვნული სახელები

პიროვნულ სახელების კორპუსში კი სიტუაცია კვლავინდებურად არ იცვლება, კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 1243 მამაკაცის 264 პიროვნულ სახელს, რომელთაგან არამუსლიმანურია მხოლოდ გულა/გულო; სულა/სულო; კუკულა/კუკულო; ალალი, როსტომ, ბიძო. იაკოფა, ისაკ. დანარჩენი ნაწილი (ე.ი 96%) მუსლიმანურია. ე.წ. რეიტინგული სახელების ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	დურსუნ	44	6	ხასან	24
2	შაქირ, მევლუდ	30	7	ხუსეინ	23
3	ახმედ, სულეიმან.	28	8	იუსუფ	21

4	მუხამედ, ასლან, იუნუს	27	9	ოსმან	20
5	ნური	25	10	ისკენდერ	19

3.4.9. ხულო. ჭვანის თემის ანთროპონიმული პორტრეტი 1922 წლის საბჭოთა

აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

ჭვანის თემს აღრიცხულია მასში შემავალი 18 სოფლის 400 მცხოვრების **81** გვარსახელი და **125** პიროვნული სახელი. აღნიშნული 81 გვარსახელიდან 46 (ანუ 56,7%) - ქართულია, რომლებიც „-ძე“ სუფიქსით არის ნაწარმოები: დავითაძე, დარჩიძე, დიასამიძე, დიმიტრაძე, მამალაძე, მახარაძე და სხვა. ხოლო **35** (ანუ **43,7%**) „-ოლი“ ფორმანტიანი თურქული გვარსახელია. ამასთან, არის ქართულ-თურქული ორმაგი გვარსახელები: ბერიძე-ახმედოლლი, ბერიძე-დაუთოლლი, ბერიძე-ხასანოლლი, ცენტერაძე - მემედოლლი და სხვა

ბ) პიროვნული სახელები

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით ჭვანის თემის სოფლებში მათი საერთო რაოდენობა არის **125**, რომელთაგან **17** (13,6%) არ არის დოგმატური მუსლიმანური სახელი: არალი, ბიძო, ბუხუტი, გულა, გულო, ვლადიმერ, იაკობ, ისაკ, კუკულა, ნანო და სხვა. თუმცა დანარჩენი **86,4%**, ანუ აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმანური სახელებია. მათი პირველი რეიტინგული ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	მუხამედ	27	6	ახმედ	15
2	ისმაილ	22	7	ემინ, მევლუდ, ხასან	10
3	ოსმან	21	8	ალი, იუნუს	9
4	დურსუნ	18	9	დაუთ	8
5	სულეიმან	16	10	ზაბით, მემედ, რეჯებ,	7

3.4.10. ხულო (დღევანდელი შუახევი). უჩამფის თემის ანთროპონიმული პორტრეტი

1922 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემების მიხედვით

ა. გვარსახელები

1922 წლის აღწერის მიხედვით უჩამფის თემი მოიცავს 19 სოფელს, რომლებშიც აღრიცხულია დაახლოებით 500 პიროვნების 154 გვარსახელი და 139 პიროვნული სახელი. გვარსახელების თითქმის ნახევარი - 67 (ანუ 43,5%) ქართულია. ესენია: ბეჭანიძე, ბერიძე, ბოლქვაძე, გამყრელიძე, გოგრაჯაძე, დავითაძე და სხვ. ყველა მათგანი -ძე სუფიქსით არის ნაწარმოები. დანარჩენი კი მთლიანად „ოღლი“ ფორმატიანი თურქული გვარსახელებია.

ბ) პიროვნული სახელები

500 მამაკაცის 139 პიროვნული სახელიდან მხოლოდ 5 (3,5%) შეიძლება არ მიეკუთვნოს დოგმატურ მუსლიმან სახელთა ჯგუფს: ასლან, გულა, თეოფილე, რომან, მიხეილ - დანარჩენი 96,5% კი მუსლიმანურია. ე.წ. რეიტინგული სახელების ათეული ასეთია:

№	სახელი	რაოდ	№	სახელი	რაოდ.
1	სულეიმან	32	6	ხასან	19
2	ახმედ	25	7	ოსმან	19
3	მუხამედ	24	8	მემედ	18
4	დურსუნ	22	9	ხუსეინ, მევლუდ	15
5	ალი	20	10	შაქირ	12

4. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის დინამიკა საბჭოთა პერიოდში (1922-1991 წლები)

ზოგადად საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის შესახებ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. უშუალოდ ანთროპონიმიის მიმართ კი ფრიად საინტერესო სურათი იკვეთება, რაც კარგად ჩანს, მაგალითად, 1922 – 1960 წლებში პედაგოგთა და მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათის დინამიკაში.

4.2. ზემო აჭარის ანთროპონიმიის ტრანსფორმაციის პროცესი საბჭოთა პერიოდში პედაგოგთა და მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათის მიხედვით

ეს თემატური ჯგუფი შევარჩიეთ იმ მოტივით, რომ თუ საზოგადოების რომელიმე ფენას უნდა აება მხარი ეროვნული ანთროპონიმული სიტემის

აღორძინების პროცესისთვის, ეს უნდა ყოფილიყო, პირველ რიგში, მასწავლებელთა ფენა. მივყვეთ ფაქტებს.

4.2.1. მასწავლებელთა და მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი

1920-ან წლებში

ა. 1922 წლის საარქივო მასალების მიხედვით

1922 წლის საარქივო მასალების მიხედვით, იმდროინდელ სასწავლებლებში (მათ შორის მედრესეებში)⁴, რომელთა უმრავლესობაც მეჩეთებთან ფუნქციონირებდა, ასწავლიდა 35 მასწავლებელი, მათგან მხოლოდ ათს ანუ 28,5 %-ს აქვს „ოღლი“ ფორმანტიანი თურქული გვარსახელი. მათაგან სამს გრაფაში „ეროვნება“ მითითებული აქვს: „ოსმალო“; ორს - „თურქი“, ერთს - „აზერი“, ერთს - „ლაზი“ და ერთსაც „ქართველი“. როცა დანარჩენი საქართველოდან მოწვეული მასწავლებელები (თამარ ჯორბენაძე, გრიშა ფოცხიშვილი) ეროვნების გრაფაში უთითებენ „ქართველი“, ქართული გვარსახელის მქონე ადგილობრივების გრაფებში მითითებულია „მაჰმადიანი ქართველი“. და მეორეც, აბსოლუტურად ყველა მასწავლებელს მუსლიმანური პიროვნული სახელი ჰქვია, რომელთაგანაც 12 „ეფენდი“ კომპონენტის შემცველი ორმაგი სახელია.

ბ. 1927 წლის საარქივო მასალების მიხედვით.

1927 წლის საარქივო მონაცემების მიხედვით ხულოს (შუახევთან ერთად) რაიონის სკოლების 58 პერსონალიდან „ოღლი“ ფორმანტით ნაწარმოები თურქული გვარსახელის მატარებელია ორი - დემუროლლი და ქიბაროლლი, ორივე მათგანს ეროვნების გრაფაში მითითებული აქვს „ქართველი მაჰმადიანი“ და ორივე მათგანს სახელიც და მამის სახელიც მუსლიმანური აქვს: ახმედ ალის ძე და მამუდ-ეფენდი ალის ძე. დანარჩენი 56 პერსონალი (96,5%) 43 ქართული გვარსახელის მატარებელია: ქართული გვარების აბსოლუტური უმრავლესობა, 43-დან 41 (ანუ გარდა ხიმშიაშვილისა და ჯაიანისა) „ძე“ ფორმანტით არის ნაწარმოები.

პიროვნული სახელების და მამის სახელების კორპუსში სულ სხვა ვითარებაა: მათი თითქმის 100% კვლავინდებურად მუსლიმანური ფაქტორით არის შერჩეული, კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში მამის სახელების ჩათვლით დაფიქსირებული 66

⁴ მედრესეები 1929 წელს ლ. ბერიას ბრძანებით აიკრძალა

სახელიდან 64 მუსლიმანურია, მაშასადამე, სახელების გადარქმევის პროცესი ამ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ არის დაწყებული.

გ. მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი 1925 წლის საარქივო მასალების მიხედვით.

ახალგაზრდობის ასაკობრივი ჯგუფის ანთროპონიმულ სურათშიც იგივე ვითარებაა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მაგალითად, პარალელის გავლება თხილნარის სკოლის 8-12 წლის ასაკის მოსწავლეთა სიასთან, რომელშიც 18 მოსწავლის 14 გვარსახელიდან 9 (64, 2%) ქართულია, ესენია: ბეჟანიძე, ბერიძე, დევაძე, დუმბაძე, კოტლაძე, მიქელაძე, შერვაშიძე, ზაქარაძე, მიქელაძე, ხოლო თურქული გვარებია: ბექიროღლი, გულაბეროღლი, შიშმანოღლი, ჰაქიმოღლი, შაინოღლი.

რაც შეეხება პიროვნულ სახელებს, ყველა მუსლიმანურია: აბდულ, აბმედ, ალი, გულფიდან, ისლამ, მურთეს, მექეუდ, ნაზიმ, ომერ, საიდ, შებან, შუქრი, შაქირ, ჯემალ, ხუსეინ.

4.2.2. მასწავლებელთა და მოსწავლეთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი

1940-1950-იან წლებში

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 1940-იანი წლებიდან, როცა თურქეთი და სსრკ ერთმანეთის მიმართ უკიდურესად მტრულ ბანაკებში აღმოჩნდნენ. ეს მნიშვნელოვნად განაპირობებდა სსრკ-ს სახელმწიფო პოლიტიკას სსრკ-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონში. რამაც გავლენა იქონია ზემო აჭარის ანთროპონიული სურათის ტრანსფორმაციის პროცესის დაჩქარებაზე, კერძოდ, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი მკვეთრად გამოხატული მუსლიმანური არა მარტო პიროვნული სახელების, არამედ მამის სახელების გამოცვლაც.

ყოველივე ეს კეთდებოდა ცხადია, არა ქართული ეროვნული პოლიტიკის გატარების, არამედ სულ სხვა მიზნებით და მიზეზებით, რაზეც აქ აღარ შევჩერდებით.

1. ზემო აჭარის მასწავლებელთა კორპუსის ანთროპონიმული სურათი 1951 წლისთვის⁵.

„ქედის და ხულოს სახელმწიფო პედასწავლებლების IV კურსზე 1951 წელს ჩასატარებელი სახელმწიფო გამოცდების ოქმში“ დაფიქსირებულია ქედის

⁵ აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მოღვაწე მასწავლებელთა ნაწილი გამოთხოვილი ან გადმოსული იყო სამუშაოდ საქართველოს სხვა კუთხეებიდან. მათ სახელებსა და გვარსახელებს ჩვენ ცალკე აღარ გამოვყოფთ.

პედსასწავლებლის 21 და ხულოს პედსასწავლებლის 50 კურსდამამთავრებლის სახელები, გვარები და მამის სახელები. სურათი ასეთია: ქედის პედსასწავლებლის კუსდამამთავრებელთა როგორც გვარსახელების, ისე პიროვნული სახელების კორპუსი მთლიანად არის შეცვლილი არამუსლიმანური და არათურქული ანთროპონიმით. მთლიანად ქართულია ხულოს პედსასწავლებლის კურსდამთავრებულთა გვარსახელების კორპუსიც. 18 პიროვნული სახელიდან კი 6 ანუ 33,3% კვლავინდებურად მუსლიმანური ფაქტორის ნაკვალევია.

საარქივო მასალების მიხედვით მთლიანობაში ქედის რაიონის 51 სკოლაში მუშაობდა 119 მასწავლებელი, რომელთა გვარსახელებიდან ყველა ქართულია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა „-ძე“ ფორმატიანი. რაც შეეხება პიროვნულ სახელთა კორპუსს, აქ ასეთი სურათია: 119 მასწავლებელის 77 სახელიდან 45 (57%) მუსლიმანურია, დანარჩენი - ქართული

ხულოს რაიონში 64 გვარსახელის მატარებელი 171 მასწავლებლიდან ერთადერთს აქვს თურქული გვარსახელი - ბაირახტაროღლი. დანარჩენი 63 ქართულია. რაც შეეხება პიროვნულ სახელთა კორპუსს, 171 მასწავლებელს ჰქვია 75 პიროვნული სახელი, რომელთაგანაც მუსლიმანურია 44.

5. ორსახელიანობა და ორგვარსახელიანობა - ზემო აჭარის მოსახლეობის ანთროპონიმიის დინამიკის ერთ-ერთი ნაკვალევი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კვალი, რაც დატოვა ზემო აჭარაში როგორც გვარსახელების, ისე პიროვნული სახელების ტრანსფორმაციის პროცესმა, არის არამუსლიმანურ-მუსლიმანური (უფრო სწორად, საერო-მუსლიმანური) ორსახელიანობა, და ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობა. ჩვენ გამოვკითხეთ 75 ქართული გვარსახელის მატარებელი 250-ზე მეტი რესპონდენტი, რომელთა პასუხებიც მთლიანად არის მოცემული სადისერტაციო ნაშრომში.

5.1 არამუსლიმანურ-მუსლიმანური (საერო-მუსლიმანური) ორსახელიანობა

როგორც გამოკითხვის მასალები გვიჩვენებს, მოსახლეობის ნაწილში (ძირითადად უფროსი ასაკის) შემორჩენილია ოფიციალურ სახელებთან ერთად მეორე,

არაოფიციალური, ოღონდ მუსლიმანური სახელების დარქმევის ტრადიცია. აშვარაა, რომ მუსლიმანი ქართველის მენტალობა იოლად ვერ შეეგუა მუსლიმანური სახელების უცებ დაკარგვას, რის გამოც ეს სახელები არაოფიციალურ, ოჯახურ და საახლობლო წრეებში კომუნიკაციის სფეროში გადავიდა. გამოკითხვის ანკეტაში ჩვენ ამ პრობლემას ცალკე პუნქტი მივუძღვენით, რაზედაც მივიღეთ შემდეგი სახის პასუხები:

1. რომან ბეჟანიძე, 34 წლის, შუახევი, ჭვანა: „... დედასაც აქვს და მამასაც მეორე სახელი, მაგალითად დედას ნაზიბროლა და აიგული ჰქვია“;
2. ვარდო შანთაძე, 56 წლის, ხულო, ოქრუაშვილები: „... დედას ერქვა გუგული და გუნეში, გუგული იყო ოფიციალურად, ოჯახში და ნათესავები გუნეშს ვეძახით, ... ჩემს ქმარს რევაზი ჰქვია ოფიციალურად, თუმცა ყველა ხასანს ეძახის“.
3. ნუგზარ ქედელიძე, 32 წლის, ხულო, ქედლები: „ჩემი მეორე სახელი მუხამედია, ზოგი ნუგზარს მეძახის, ზოგიც კი მუხოს. მუხოს უფრო ოჯახში მეძახიან, ოფიციალურად ნუგზარი ვარ“ და სხვა (სრულად მოცემულია ნაშრომში).

5.2. ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობა ზემო აჭარაში და მისი ფუნქცია
საინტერესოა ე.წ. ორგვარსახელიანობის ფენომენი, რომლის მოდელიც ზემო აჭარაში ასეთია: „**ოფიციალური ქართული გვარსახელი + არაოფიციალური თურქული გვარსახელი**“. ეს უკანასკნელი (თურქული გვარსახელები) ადამიანთა მეხსიერებაშია შემორჩენილი და წერილობით არსად, არცერთი სახის დოკუმენტში არ ფიქსირდება. როგორც გამოკითხვის მასალებიდან ჩანს, რესპონდენტები ასახელებენ თავიანთ ძველ გვარსახელებს და ამით ხაზს უსვამენ, რომ მათ ფაქტობრივად ორი გვარსახელი აქვთ. ასე მაგალითად, მახუნცეთელი ვარშანიძეები ამბობენ, რომ ისინი ძველი ხუსეინოღლები არიან, მერისელი კაკაბაძეები - აღაჯანოღლები, დოლოგნელი კოჩაძეები - მოღალოღლები და სხვა. არის შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ქართული გვარის წარმომადგენლები რამდენიმე „-ოღლად“ არიან დაყოფილი, ასე მაგალითად, დავითაძეები მთელ აჭარაში არიან გავრცელებული, თუმცა თითქმის ყველა დავითაძე თავისი გვარის წარმოშობას შუახევს უკავშირებს. მარტო დაბა შუახევსა და მის მიმდებარე სოფლებში ის აერთიანებს განშტოებებს: აბდიოღლები, ბაირახტაროღლები, ბოღოჩოღლები, ბუძგიოღლები, ბუღუთოღლები,

გულამედოღლები, დელიმემიშოღლები, დურსუნოღლები, ველიოღლები, იაოღლები, ლაზოღლები, მათარაჯოღლები, მელექოღლები, სელიმოღლები, ტათლიოღლები, უზეიროღლები, უჩიოღლები, ყაზანჯოღლები, ხაზინადაროღლები, ხინველოღლები, იშიოღლები, ხეძემოღლები და სხვები. ანალოგიურად აჭარელ ბოლქვაძეებში - ერთმანეთისგან განასხვავებენ ყადიოღლების, ომაროღლების, ჯალაბოღლების, ხათიბოღლების, მოლაქესუმოღლების, ჩახალოღლების, სალოღლების, საბძელოღლების, ფარფაროღლების და სხვა განშტოებებს. ანალოგიურად, ფუტკარაძეებს დღემდე კარგად ახსოვთ, რომ შუახეველ ფუტკარაძეთა გვარი აერთიანებს მუსტაფოღლებს, გოჩიოღლებს, მაზანოღლებს, ბობოღლოღლებს, შირინოღლებს, ონბაშოღლებს, ქუჩქალოღლებს, ქურთასანოღლებს, მემედაღიშვილებს და სხვა.

რა შეიძლება ითქვას მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ? ზოგადად გვარსახელების განშტოებათა ფენომენის კვლევას თანამედროვე ანთროპონიმიკულ პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათ კვლევას ეძღვნება ალ. ლლონტის, ბ.ჯორბენაძის, ნ. მგელაძის, მ. მჭედლიშვილის, თ. ნატროშვილის, შ. ფუტკარაძის, მ. კობიაშვილის, მ. ფალავას და სხვათა ნაშრომები. ამავე დროს, მისი არსი, წარმოშობის საფუძვლები და ფუნქციური დატვირთვა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და ბოლომდე გააზრებული. საინტერესოა, რომ ანალოგიურ მოვლენას ვხვდებით 1886 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებშიც, რის შესახებაც რ. თოფჩიშვილი წერს: „ზოგჯერ გრიგორიანული სარწმუნოებისა და სომხური გვარსახელის მატარებელი მეორე (ქართული) გვარსახელითაც არის მოხსენიებული ... მეორე გვარსახელი ძველი გვარსახელია, რომლის შეცვლაც ფეოდალური და კაპიტალისტური პერიოდის საქართველოში, გარკვეული მიზეზების გამო, იშვიათად არ ხდებოდა“ (თოფჩიშვილი, 2005). ამ დატვირთვის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, აჭარაში გვარის განშტოებათა სახელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სისხლით ნათესაობის გარკვევაც უნდა იყოს. მაგალითად, ზოგიერთ ოჯახში ცოლიც ბერიძეა და ქმარიც, ოღონდ ისინი სხვადასხვა განშტოების (ოღლის) არიან. როგორც ჩვენი გამოკითხვებიდან ჩანს, იგივე შეიძლება ითქვას ზოიძეებზე, ფუტკარაძეებსა და სხვებზე. მეორე მხრივ, მაგალითად, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არის სოფელი ბალამეები, სადაც მხოლოდ

ბალაძეები ცხოვრობენ, რომელთაც ასევე სხვადასხვა „ძველი გვარსახელები“ აქვთ: კატაროლლები, კუდოლლები, საცეროლლები, ჩხაკოლლები, ლელვოლლები, და სხვა. ამავე დროს, აქ ერთ ოჯახსაც კი ვერ ნახავთ, სადაც ორივე მეუღლე ბალაძე იქნება, ეს არის მცირერიცხოვანი, კომპაქტურად ერთ სოფელში მცხოვრები გვარი, რომლის წარმომადგენელთა კოლექტიურ მეხსიერებაში მყარად არის შემორჩენილი მათი სისხლით ახლო ნათესაობის აღქმა.

საინტერესოა საპირისპირო შემთხვევებიც: მაგალითად, სოფელ დანდალოშივე მცხოვრებ ჯორთმენაძეებს და მახუნცეთში მცხოვრებ კურცხალიძეებს საერთო თურქული გვარსახელი ჰქონდათ - გურჯიოლლი, არის თუ არა ეს ორი ქართული გვარი გურჯიოლლების დანაყოფები? შესაძლებელია ეს ასეც იყოს, თუმცა ამის დაზუსტებით მტკიცებას გამოკითხულები ვერ ახერხებენ, რადგან რა ვითარება იყო გურჯიოლლის დარქმევამდე, დღესდღეობით ძნელი დასადგენია. განსხვავებული ვითარებაა, მაგალითად, აქაური ალიშანიძეების, მგელაძეების და განდელიძეების შემთხვევაში,, რომლებიც დღეს სხვადასხვა ქართული გვარისანი კი არიან, მაგრამ მათივე მტკიცებით, მათ ჰყავდათ საერთო წინაპარი ყასუმი. ამიტომაც მისი შვილები ყასუმოლლები იყვნენ. შემდეგ სამი მმა გაიყო და თითოეულმა მათგანმა მათი სახელებისგან ნაწარმოები სხვადასხვა ქართული გვარსახელი დაირქვეს.

- 6. ზემო აჭარის თანამედროვე ანთროპონიმული სურათი დღეს**

6.1 გვარსახელები

ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის თითქმის ოთხსაუკუნენახევრიანი მრავალწახნაგოვანი პროცესის საბოლოო შედეგი ნათლად არის ასახული დღევანდელ ვითარებაზე. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მასალების და საარჩევნო სიების მიხედვით ზემო აჭარაში (ქედის, შუახევის და ხულოს ადმინისტრაციული ერთეულები) ფიქსირებულ გვარსახელთა რეიტინგულ ჩამონათვალის პირველი ოცეული ასეთია:

	გვარსახ.	რაოდ	№	გვარსახ.	რაოდ.
1	ბერიძე	3969	11	სურმანიძე	1062
2	ბოლქვაძე	2465	12	შაინიძე	1014

3	აბულაძე	1841	13	ცეცხლაძე	995
4	დიასამიძე	1460	14	დუმბაძე	880
5	შავაძე	1441	15	გორგაძე	847
6	ფუტკარაძე	1344	16	ზოიძე	846
7	დავითაძე	1281	17	ირემაძე	793
8	აბაშიძე	1274	18	მელაძე	699
9	მიქელაძე	1263	19	ხოზრევანიძე	672
10	მახარაძე	1215	20	თურმანიძე	612

როგორც ვხედავთ, პირველი ოცეულში მოხვედრილი ყველა გვარსახელი ქართულია ასე გრძელდება ბოლომდე: ზემო აჭარაში მცხოვრები ორივე სქესის 55349 მცხოვრების დაახლოებით 320 გვარსახელიდან აბსოლუტურად ყველა ქართულია. მაშასადამე, დღეს ზემო აჭარაში „ოღლი“ ფორმატიანი თურქული გვარსახელი ოფიციალურად პრაქტიკულად აღარ აღირიცხება. რაც შეეხება დანარჩენ რეიტინგულ ჯილფებს, მათ განხილვას დაწვრილებით, ცხადია, აღარ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ 320 გვარსახელიდან მხოლოდ 15-ია „შვილი“ ფორმატიანი, 288 კი „ძე“ ფორმატიანია.

6.2 პიროვნული სახელები

აღნიშნული აღწერის მასალების მიხედვით, 55349 მცხოვრებს ჰქვია მთლიანობაში 1125 სახელი, რომელთაგან 650 მამაკაცის სახელია და 475 - ქალის. მათი რეიტინგული ჩამონათვალის პირველი ოცეული ასეთია:

ა) ქალის სახელები

	გვარსახ.	რაოდ	№	გვარსახ.	რაოდ.
1	ნათელა	1070	11	მზია	422
2	ეთერი	900	12	მანანა	405
3	ჟუჟუნა	753	13	გუგული	369
4	ნანული	662	14	თეონა	365
5	მაყვალა	621	15	თინა	364
6	მერი	584	16	ხათუნა	346
7	თამარ	554	17	ნარგიზ	335

8	ნინო	442	18	ნათია	302
9	შუშანა	433	19	დარიკო	294
10	მაია	430	20	მზევინარ	293

მცირე რაოდენობით (40 ანუ 3,5%), მაგრამ მაინც არის ძველი, მკვეთრად გამოხატული მუსლიმანური შეფერილობის სახელებიც, რომლებიც ძირითადად ასაკოვან და შუა ხნის პიროვნებებს ჰქვიათ: ფატუუმე-182⁶ (ყველაზე ახალგაზრდა - 1961 წელსაა დაბადებული), აიშე-170 (ყველაზე ახალგაზრდა-1970-იანია), ასიე-154 (ყველაზე ახალგაზრდა - 1961-იანია) და სხვა. ასეთია აბსოლუტური უმრავლესობა. ამავე დროს, მაგალითად, პიროვნული სახელის - სური - მატარებელი 70 პიროვნებიდან ორი 1990-იან წლებშია დაბადებული და ა.შ.

ბ) მამაკაცის სახელები

ზემო აჭარაში მამაკაცთა დღევანდელი პიროვნული სახელების პირველი ოცეული ასეთია:

	გვარსახ.	რაოდ	№	გვარსახ.	რაოდ.
1	ნოდარ	737	11	ნუგზარ	469
2	ზურაბ	730	12	ავთანდილ	465
3	თამაზ	690	13	ოთარ	464
4	დავით	617	14	მალხაზ	461
5	რამაზ	561	15	ლევან	448
6	გურამ	560	16	რევაზ	445
7	თემურ	541	17	ბადრი	419
8	ამირან	502	18	ჯემალ	418
9	გიორგი	495	19	გოჩა	418
10	მერაბ	475	20	ზვიად	351

არის გარკვეული რაოდენობის მუსლიმანური სახელებიც: აბდულ-23; ალი-38, ალიოსმან-16, ახმედ-78, ბინალ-23, დურსუნ-46, ენვერ-43, ისმაილ-45, ხასან-81, ხემიდ-21, ხუსეინ-60 და სხვა. თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა 90-იან წლებში და

⁶ სახელის გვერდით მიწერილი რიცხვი ამ სახელის მატარებელთა რაოდენობის მაჩვენებელია.

შემდგომ პერიოდში დაბადებულთა სახელებს შორის უკვე აღარ ფიგურირებს ანუ ხმარებიდან გამოსულია. სამაგიეროდ, 90-იან წლებში უკან მობრუნებულია არაერთი სახელი, რომლებიც 60 - იანი წლების შემდეგ აღარ ფიგურირებდა: მუხამედ -15⁷ (1990-1996); (1997); ახმედ-5 (1996). ხუსეინ - 4 (1994); ენვერ -3 (1994); ხემიდ - 3 (1996) და სხვა.

6.3 სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პიროვნული სახელების კორპუსი (2016-2017 წ.წ.)

პიროვნულ სახელთა მრავალსაუკუნოვანი დინამიკის თვალსაზრისით ძალიან საინტერესო დასკვნების გაკეთების საფუძველს ქმნის დღევანდელი სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პიროვნულ სახელთა კორპუსის ანალიზი. ასე მაგალითად, ხულოს მუნიციპალიტეტის ღორჯომის ხეობაშიც კი, სადაც პრაქტიკულად არცერთი ქრისტიანული ოჯახი არ სახლობს, მშობლები ბავშვებს აღარ არქმევენ ძველ, დოგმატურ მუსლიმანურ პიროვნულ სახელებს. მაგალითად, ღორჯომის ბაგა-ბაღში, რომლის 2016 წლის 70 აღსაზრდელიდან არცერთს არ ჰქვია ასეთი სახელები. მთლიანობაში 2016-2017 წლების მონაცემების მიხედვით ჩვენ გვაანალიზეთ ხულოსა და ქედის მუნიციპალიტეტების საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა პიროვნული სახელების კორპუსი და მივიღეთ შემდეგი სურათი:

ხულოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში 2016-2017 წლებში მოქმედ 16 ბაგა-ბაღის 657 აღსაზრდელს **159** პიროვნული სახელი: აღუქსანდრე, ანუკი, ანამარია, ანასტასია, ანანო, ანდრია, ანდრო, ანრი, ანრიკე, აჩიკო, ბადრი, ბარბარე, ბაჩუკი, გაბრიელ, გაბრიელა, გვანცა, გიგა, გიგი, გიგლა, გიორგი, დარინა, დავით, დათა, დათო, დაჩი, დიანა, დიმა, დიმიტრი, დიტო, ეკა, ელისო, ელზა და სხვა. ანალოგიურად, ქედის ბავშთა ბაგა-ბაღების 2016-2017 სასწავლო წლის 306 აღსაზრდელიდან პრაქტიკულად 100% ე.წ. თანამედროვე სახელების მატარებელია

დასკვნები

1. როგორც ჩვენი კვლევა გვიჩვენებს, ზემო აჭარის ენობრივ სურათში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანთროპონიმიას - გვარსახელებს, პიროვნულ

⁷ პირველი რიცხვი სახელთა რაოდენობის მაჩვენებელია, მეორე - დაბადების წლების

სახელებს, მამის სახელებს, მეტსახელებს, შტოგვარებს, მეტგვარებს. ნაშრომში გაანალიზებულია მათი ტრანსფორმაციის მრავალსაუკუნოვანი პროცესი, რომელიც სოციოლინგვისტური ფაქტორების (ენობრივ-კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და რელიგიური პარადიგმის) ცვლის შესაბამისად მე-16 საუკუნის მიწურულიდან დღემდე ეტაპობრივად წარიმართა.

2. ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ათვლის წერტილი არის XVI საუკუნის მიწურული, რომლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოსმალობამდელი ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი, კერძოდ, პიროვნულ სახელთა კორპუსი, როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად ქართული ან ქრისტიანულია.

3. რაც შეეხება გვარსახლებს, ყველა დანარჩენი იმდროინდელი ოსმალური „დავთრების“ ქართული თარგმანების მსგავსად, არც აქ ფიქსირდება „სახელი + ქართული გვარსახელი + მამის სახელი“, „ქართული გვარსახელი + სახელი“ ან „სახელი + ქართული გვარსახელი“ ნიმუშის ანთროპონიმული მოდელები. მათ ნაცვლად გვხვდება: ბასილი, ძე მახარებლისა; იოანე, ძე გიორგისა და ა.შ. გვხვდება აგრეთვე შემდეგი სახის მოდელები: „ბაბუნა, ძე მისი“, „იოსებ, ძმა მისი, „იოანე მღვდელი“ და სხვა. რატომ გვხვდება ეს მოდელები და არა: ბასილი მახარებლისძე, იოანე გიორგისძე, ან - მახარებლისძე ბასილი, გიორგისძე იოანე და ა.შ., როგორც ეს „ტბეთის სულთა მატიანესა“ და სხვა ქართულ წყაროებშია მოცემული? ვფიქრობთ იმიტომ, რომ რაც „დავთრების“ დედანში ანუ ოსმალურ დოკუმენტებშია დაფიქსირებული, არის ოსმალო მოხელეების მიერ მათი შეხედულების მიხედვით ქართულიდან ოსმალურად თარგმნილი/გადატანილი ანთროპონიმული მოდელები. „დავთრების“ ქართულ თარგმანში კი ეს ოსმალურად დაფიქსირებული მოდელები ისევ ქართულად არის კალკირებული/გადმოტანილი.

4. სხვა ვითარებაა ტრანსფორმაციის ეტაპზე, რომელიც მოიცავს აღნიშნული დავთრების შედგენიდან 1878 წლამდე პერიოდს (ოსმალური ეტაპი), ამ განსხვავების ნათელი დასტურიცაა 1835 წლის ოსმალური აღწერის მასალები, კერძოდ:

4.1 მკვეთრად არის შეცვლილი სურათი მუსლიმანური პიროვნული სახელების და „ოღლი“ ფორმატიანი თურქული გვარების დამკვიდრების მიმართულებით. რომელთა მიხედვითაც ჩვენ მიერ გაანალიზებული ოთხი სოფლის ანთროპონიმიაში (მთლიანობაში 1063 მამაკაცის 232 პიროვნული სახელი და 96 გვარსახელი) ქართული და თურქული ელემენტების თანაფარდობა ასეთია:

	აღწერილ მცხოვრებთა რაოდენობა	რამდენს ჰქვია მუსლიმანური სახელი	დაფიქსირებული გვარსახელებიდან რამდენია „ოღლი“	ყველაზე რეიტინგული სახელი	
დანდალო	504	≈100%	გვარსახელები საერთოდ არ არის დაფიქსირებული	მეჰმედი	15,8%
ვაიო	163	≈100%	84%	მეჰმედი	12,8%
ბზუბზუ	170	≈100%	86,2%	მეჰმედი	21,7%
მარადიდი	226	≈100%	93%	ოსმანი	12,3%

4.2 აღნიშნული აღწერის მასალებში ჩნდება „გვარსახელი + სახელი + მამის სახელი“ ტიპის ანთროპონიმული მოდელები, რომლებიც შეიცავენ როგორც თურქულ, ისე ქართულ გვარსახელებს როგორიცაა: **ტეტემაძე ჰასან ასმანისძე** (ვაიო); **მახაჩქაძე აპმედ ალის ძე** (ვაიო); **ქოროლლი ქამილ აპმედის ძე** (ვაიო); **ჩახალოლლი სულეიმან მეჰმედის ძე** (ბზუბზუ), **ისლამოლლი მეჰმედ სელიმის ძე** (ბზუბზუ) დასხვა

4.3 მესამე ეტაპი მოიცავს პერიოდს 1878 წლიდან 1922 წლამდე, ამ ეტაპის ვითარების ამსახველ უამრავ წყაროთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია 1922 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის აღწერა, რომლის მასალებშიც ნათლად ჩანს ფაქტობრივად მთლიანად 1574 – 1922 წლების პერიოდის ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის საბოლოო შედეგები. ანთროპონიმული მოდელი მე-16 საუკუნის დავთრების მსგავსად აქაც ორწევრიანია, ოღონდ განსხვავებულია ამ მოდელის ტიპები: თუ პირველ შემთხვევაში ეს იყო „**სახელი + საგარაუდოდ მამის სახელი**“, 1922 წლის აღწერის მასალებში კი **სახელი + გვარი**, მაშასადამე, არ არის აღრიცხული მამის სახელები, თუმცა პიროვნების იდენტობის დაზუსტების მიზნით ზოგჯერ დაფიქსირებულია მამის სახელიც (**ტუნაძე მევლუდ**

ისმაილის ძე). ჩვენ გავანალიზეთ ამ პერიოდის ??? თემის სოფლების ანთროპონიმული კორპუსი (მთლიანობაში 4865 მამაკაცის 929 პიროვნული სახელი და 654 გვარსახელი), მათგან 1088 პიროვნება (22.36%) „ოღლი“ ფორმანტიანი თურქული გვარის მატარებელია. 22 - ორმაგი ქართულ-თურქული გვარსახელის (დევაძე-შირინოღლი) და დანარჩენი 3745 (77%) - ქართულ გვარსახელს ატარებს. ანალოგიური ვითარებაა ქართველ მეცნიერთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა აჭარაში მოგზაურობის ამსახველ მასალებშიც

4.4 კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელსაც გარდამტეხიც შეიძლება ეწოდოს, დგება 1922 წლიდან (ანუ აჭარის ე.წ. გასაბჭოებიდან), რომლის თავისებურებაც არის ის, რომ მაქსიმალურად დაჩქარდა ზემო აჭარის ანთროპონიმიიდან თურქული ელემენტის მთლიანად გამოდევნისკენ მიმართული პროცესი. გვარსახელების სფეროში ის წარიმართა უმთავრესად სპონტანურად, მოსახლეობის მხრიდან საკუთარ ფესვებზე დაბრუნების სურვილით, ამიტომაც ძალიან სწრაფადაც დასრულდა. პიროვნული სახელების სფეროში კი ეს პროცესი მუსლიმანური აღმსარებლობის ზეგავლენით რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გაიწელა. ამ პროცესებში გადამწყვეტი როლი ითამაშა თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ერთმანეთის მიმართ მტრულ ბანაკებში აღმოჩენამ. ამ გარემოების გამო გარე სამყაროსგან მთლიანად ჩაიკეტა სსრკ-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონი, სადაც დაისადგურა უმკაცრესმა რეჟიმმა, რომლის პირობებშიც არა მხოლოდ თურქულ ანთროპონიმიას, არამედ მუსლიმანური აღმსარებლობისადმი ლოიალობასაც კი არასანდო ელემენტების და სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობის კვალიფიკაცია ეძლეოდა. აღნიშნულ პერიოდში ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ტენდენციები მკაფიოდ ვლინდება, მაგალითად, მასწავლებელთა კორპუსის ანთროპონიმიაში:

	პიროვნებათა რაოდენობა	რამდენს ჰქვია მუსლიმანური სახელი	რამდენია „ოღლი“
მასწავლებელთა კორპუსი (1922 წ.)	35	≈100%	28,5%
მასწავლებელთა კორპუსი (1927 წ.)	58	≈100%	3,5%

თხილნარის სკოლის მოსწავლეთა კორპუსი (1925 წ.)	18	$\approx 100\%$	35,5%
ქედის პედსასწავლების კურსდამამთავრებელთა კორპუსი (1951 წ.)	21	5	0
ხულოს პედსასწავლებლის კურსდამამთავრებელთა კორპუსი (1951 წ.)	50	33,3%	0
ქედის რაიონის მასწავლებელთა კორპუსი (1951 წ.)	119	66,6%	0
ხულოს რაიონის (შუახევთან ერთად) მასწავლებელთა კორპუსი (1951 წ.)	171	69,5%	0

5. ჩვენი კვლევის მიხედვით ზემო აჭარის ანთროპონიმიის ტრანსფორმაციის დასკვნითი ეტაპია 1991 წლის შემდგომი პერიოდი, რომელზეც საქართველოს მოსახლეობის ბოლო აღწერის მასალების მიხედვით, ზემო აჭარაში მცხოვრები ორივე სქესის **55349 მცხოვრების** 697 გვარსახელიდან აბსოლუტურად ყველა ქართულია. მაშასადამე, **დღეს ზემო აჭარაში „-ოლი“ ფორმატიანი თურქული გვარსახელი ოფიციალურად პრაქტიკულად აღარ აღირიცხება.**

6. რაც შეეხება პიროვნულ სახელთა კორპუსს, ის მოიცავს მამაკაცის და ქალის 1125 პიროვნულ სახელს, რომელთაგანაც პირველ რეიტინგულ ოცეულში არცერთი თვალში საცემი მუსლიმანური მუსლიმანური სახელი არ არის დაფიქსირებული. თუმცა მთლიანობაში ასეთი სახელებიც არის, ოღონდ უმთავრესად უფროსი ასაკის ადამიანებთან.

7. მკაფიოდ იკვეთება უმნიშვნელოვანესი ტენდენცია: დღეს, რწმენისა და გამოხატვის თავისუფლების პირობებში სახელის დარქმევა მთლიანად თავისუფლდება რელიგიური ფაქტორებისგან. ის უფრო პიროვნულ ფაქტორებს და არჩევანის სრულ თავისუფლებას დაექვემდებარა, ვიდრე რომელიმე რელიგიის დოგმატურ მოთხოვნებს. ყოველივე ამის დასტურია ზემო აჭარის ბავშვთა ბალების 2010-იანი წლების აღსაზრდელთა პიროვნულ სახელების ანალიზი.

საბჭოთა პერიოდში ზემო აჭარის მოსახლეობის ანთროპონიმიიდან ყველაზე სწრაფად და სპონტანურად მოხდა გვარსახელების ტრანსფორმაცია. ამავე დროს, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული საველე გამოკითხვების ანალიზი გვიჩვენებს, „-

ოღლი“ ფორმატიანი ოსმალური გვარები დღემდე არ წაშლილა მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერებიდან, სადაც მათ ახალი - შტოგვარის ფუნქცია დაეკისრა.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სტატიები:

1. თემურ ავალიანი, ეკატერინე ბარამიძე. „გვარის განშტოებათა ზოგიერთი სახელწოდების შესახებ ზემო აჭარაში“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრი. შრომები. V. ბათუმი. 2019. ISSN 2449-2507. გვ. 214-226;
2. თემურ ავალიანი, ეკატერინე ბარამიძე - „ზოგიერთი მოსაზრება შტოგვარის პრობლემის შესახებ (ზემო აჭარის მაგალითზე)" ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი. ფილოლოგიური მაცნე, V. ბათუმი. 2019. ISSN 2587-4799. გვ. 105-120;
3. თემურ ავალიანი, ეკატერინე ბარამიძე. „ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათი სემიოტიკური თვალსაზრისით (ხულოს მუნიციპალიტეტის დეკანაშვილების თემის სოფლების მაგალითზე)". სემიოტიკა. სამეცნიერო ჟურნალი. XVIII. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი GAU. ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი. სემიოტიკის კვლევის ცენტრი. თბილისი. 2019. ISSN 1512-2409. გვ. 107-116.
4. თემურ ავალიანი, ეკატერინე ბარამიძე. „ზემო აჭარის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ“. ჩვენი სულიერების ბალავარი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. X. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება. ბათუმი. 2018. ISSN 1987-5916. გვ. 29-39;
5. ეკატერინე ბარამიძე - „ანთროპონიმია გუშინ, დღეს, ხვალ“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა III სანეცნიერო კონფერენციის მასალები 2017. ბათუმი 2018 წ. ISBN 978-462-79-5. p. გვ. 75-82;

6. ეკატერინე ბარამიძე, თემურ ავალიანი. „ანთროპონიმია ენობრივ სამყაროში და მისი დინამიკა (ერთი სასოფლო თემის მაგალითზე)“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო. შრომები. VII. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2017. ISSN 2298-0776. p. გვ. 385 – 398;